თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 28 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი) – „როტორი“ (ვოლგოგრადი) 1:1 (0:0).

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, ჩიქოვანი, ნემსაძე, ჯიშკარიანი (რევიშვილი, 71), ცვეიბა, ქეცბაია, კაჭარავა, გოგიჩაიშვილი (დარასელია, 70).

„როტორი“: კლეამანოვი, ოსკოლკოვი (ბურლაჩენკო, 68), ფედოროვსკი, სტოგოვი, კალიტვინცევი, ხომუტეცკი, ბოლშაკოვი, სუროვიკინი (სერგეევი, 41), პოლსტიანოვი, ნიკიტინი, ჩუპინი.

მსაჯი მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

გააფრთხილეს ფედოროვსკი.

დინამოელებმა 26 სექტემბერს საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის გამოტოვებული მატჩი ჩაატარეს ვოლგოგრადის „როტორთან“. გუნდთან, რომელიც 29 წლის ინტერვალის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა უძლიერესთა ელიტას.

ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს ეს გადმოტანილი მატჩი წინასწარ გვინერგავდა იმედს, უმრავლესობა მაინც ამ შეხვედრას უკვე მოგებულად ვთვლიდით და სატურნირო ცხრილს ჩვენი ილუზიებით ვადგენდით. ეს გასაგებიცაა, „როტორი“ უმაღლესი ლიგის დებიუტანტია და მასთან ორი ქულის აღება ჩვენს გუნდს თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა.

სამწუხაროდ, გაუჭირდა. სტუმრებმა თბილისში ისე ითამაშეს, უმაღლესი ლიგის ბევრ ძველ ბინადარსაც შეშურდებოდა. თქმა იმისა, რომ მასპინძლებს მონდომება აკლდათ, სწორი არ იქნება. მთელი 90 წუთის მანძილზე თამაში საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა, მაგრამ თბილისელებმა ვერა და ვერ მოუძებნეს სტუმართა კარს „გასაღები“.

სეზონის დაწყების წინ „როტორი“ ყველას განწირულად მიაჩნდა. გუნდმა რამდენიმე მატჩი უსუსურად ჩაატარა და ლიგის დატოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატი გახდა, მაგრამ კოლექტივში ახალი მწვრთნელის ა. სევიდოვის მოსვლამ თითქმის უიმედო, ხელჩაქნეული გუნდი ბრძოლისუნარიანი და მობილური გახადა. ახალი მწვრთნელის დამსახურებაა ისიც, რომ ვოლგოგრადელთა რამდენიმე მოთამაშემ ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება მიიქცია.

თბილისში შეხვედრა მასპინძლების იერიშით დაიწყო. უკვე მეოთხე წუთზე კაჭარავამ დაკარგა კარის აღების რეალური შესაძლებლობა: ახლო მანძილიდან მის მიერ დარტყმული ბურთი მოიგერია სტუმართა მეკარემ. თბილისელთა იერიშები ამით არ დასრულებულა, სტუმრები უხეშობას არ ერიდებიან მსაჯი სტუპარი ყვითელ ბარათს აჩვენებს „როტორის“ მცველ ფედოროვსკის. ეს არის და ეს, თითქოს მსაჯმა ამით თავისი ვალი მოიხადაო – სხვა უხეშობებზე იგი მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით კმაყოფილდება. „როტორის“ ფეხბურთელებმაც რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს და გაბელიას ძნელი ბურთების აღება მოუხდა. ამის შემდეგ შეხვედრა გათანაბრდა და ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობდა. კარის აღების კარგი შესაძლებლობა მიეცა გ. ნემსაძეს, რომლის მიერ ოსტატურად შესრულებული დარტყმა მცირე მანძილით ცდება სტუმართა კარს.

პირველი ნახევრის ბოლო წუთები „როტორმა“ აღმავლობით ჩაატარა, თუმცა პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა – 0:0.

მსგავსი სურათით წარიმართა დარჩენილი 45 წუთიც. სტუმრები კვლავ კონტრშეტევით ცდილობენ უპირატესობის მიღწევას და მათი ეს ჩანაფიქრი ფრთებს ისხამს: მარცხენა ფლანგიდან ნიკიტინი სოლო რეიდით გასცდა ჩვენს მცველებს და მისი ზუსტი გადაცემით პოლსტიანოვმა 55-ე წუთზე გაიტანა გოლი. თბილისელებს ექვსი წუთი დასჭირდათ ანგარიშის გასათანაბრებლად. გოგიჩაიშვილის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს კარგად ურჩევს ადგილს ჭედია – ახლო მანძილიდან ათანაბრებს ანგარიშს – 1:1. მთელი მეორე ნახევარი „როტორმა“ დინამოელთა პერსონალურ მეურვეობას მოანდომა. თუ რა ძალა და ენერგია სჭირდება ასე თამაშს, კარგად მოგეხსენებათ. მოკლედ „როტორმა“ თბილისში გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა. შეხვედრის ბოლო წუთებზე თბილისელები მეტოქის მოედანზე მაღალი ჩაწოდებული ბურთებით ცდილობდნენ სტუმართა კარის დალაშქვრას, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. მეკარე კლეიმანოვი და ვოლგოგრადელთა ტანმაღალი მცველები ადვილად

ახერხებდნენ საფრთხის მოგერიებას. შეხვედრის 76-ე წუთზე თბილისელებს ანგარიშის გაზრდის საშუალება მიეცათ. ს. ჭედიამ კარგად მიაწოდა ბურთი საჯარიმო მოედანზე უმეთვალყურეოდ დატოვებულ დარასელიას, რომლის მოუმზადებელი დარტყმა ოდნავ სცდება მიზანს. შეხვედრის მიწურულს დინამოელებს კვლავ გაუჩნდათ მატჩის მოგების შანსი, სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობის დროს სტოგოვი ხელით უცვლის ბურთს მიმართულებას, მაგრამ სტუპარი ამ დარღვევაზე არ რეაგირებს. შეხვედრა დამთავრდა. თბილისელებმა კვლავ ვერ შეძლეს ეჩვენებინათ ის თამაში, რომელსაც ასე მოუთმენლად ელის მათგან მაყურებელი. მომდევნო მატჩს თბილისის „დინამო“ 1 ოქტომბერს გამართავს. მისი მეტოქე მინსკელი თანაკლუბელები იქნებიან.

ზაზა რუხაძე
“ლელო” 28 სექტემბერი, 1989 წ.